ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 84-65

2 ივლისი
"___"_____ 2021 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 28/01/2020; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016675) მე-2 მუხლით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებაში და დებულების მე-8 მუხლის:

ა)პირველ პუნქტს, „რ" ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „$რ^1$" და „$რ^2$" ქვეპუნქტები:

„$რ^1$)რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხებზე კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება, საკითხების შესწავლა, ინფორმაციების გამოთხოვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;";

$რ^2$)რეგულარულ სამგზავრო გადაყვანასთან დაკავშირებით მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ფინანსური აღრიცხვა, გადასახდელი თანხების კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის ინფორმაციის მიწოდება მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად სათანადო ღონისძიებების განხორციელების მიზნით;";

ბ) მე-8 პუნქტის „ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შედგეგი რედაქციით:

„ი)რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გასაცემად სათანადო დოკუმენტების მომზადება და შესაბამისი სანებართვო რეესტრის წარმოება; სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე (გარდა ფინანსურისა) საჭიროების შემთხვევაში ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება, საკითხების შესწავლა, ინფორმაციების გამოთხოვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;";

გ) მე-8 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „კ" ქვეპუნქტი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე